

## თამარ სუხიშვილი

### მსჯავრდებული თუ მსჯავრდადებული?

რამდენიმე იურიდიული ტერმინი ქართულ ენაში პარალელური ფორმებით არის წარმოდგენილი. ეს არის **ბრალ-** და **მსჯავრ-** ფუძითა და **დება-** ზმნის უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმებით ნაწარმოები საწყისიანი და მიმღეობიანი კომპოზიტები:

**ბრალდება, ბრალდებული** (ბრალს სდებს, ბრალი ედება) // **ბრალდება, ბრალდადებული** (ბრალს დასდებს, ბრალი დაედება)

**მსჯავრდება, მსჯავრდებული** (მსჯავრს სდებს, მსჯავრი ედება) // **მსჯავრდადება, მსჯავრდადებული** (მსჯავრს დასდებს, მსჯავრი დაედება).

ორთოგრაფიულ ლექსიკონში (ძველ და ახალ გამოცემებში) დადგენილია ნორმა: **მართებული ფორმაა ბრალდება** (და არა **ბრალდადება**), **ბრალდებული** (და არა **ბრალდადებული**); ამავე ლექსიკონში მართებულ ფორმად სახელდება **მსჯავრდადება, მსჯავრდადებული** (და არა **მსჯავრდებული**) [ორთოგრაფიული ლექსიკონი 1968, 1998]. მიუხედავად ნორმისა, პარალელური ფორმები იდენტური მნიშვნელობით (ბრალდებული – ბრალდადებული, მსჯავრდებული – მსჯავრდადებული) არცთუ იშვიათად დასტურდება წერილობითი სახით.

წინამდებარე სტატიაში შევეცადეთ გავვერკვია ფორმათა ამ პარალელიზმის მიზეზი.

**ბრალ-** და **მსჯავრ-** ფუძეებიდან ნაწარმოები კომპოზიტები (ისევე როგორც **ბრალი** და **მსჯავრი**): ბრალდება – ბრალდადება, მსჯავრდება – მსჯავრდადება, ბრალდებული – ბრალდადებული, მსჯავრდებული – მსჯავრდადებული... – ერთ ტერმინოლოგიურ (სამართლებრივ) კონტექსტში განიხილება. კომპოზიტების წარმოებაც ერთგვაროვანია:

**საწყისიანი კომპოზიტები** (სახელი + საწყისი): პირველ წევრად **დება-** (< სდებს) ზმნის ობიექტია გამოყენებული, ხოლო მეორე წევრად – ამავე ზმნის საწყისი (ერთ შემთხვევაში უზმნისწინო, მეორე შემთხვევაში – ზმნისწინიანი):

ბრალდება (ბრალს სდებს, ბრალი ედება)

ბრალდადება (ბრალს დასდებს, ბრალი დაედება)  
მსჯავრდება (მსჯავრს სდებს, მსჯავრი ედება)  
მსჯავრდადება (მსჯავრს დასდებს, მსჯავრი დაედება)

**მიმღეობიანი კომპოზიტები** (სახელი + მიმღეობა): პირველი წევრი **დება-** (< სდებს) ზმნის ობიექტია, მეორე წევრი კი – ამ ზმნის მიმღეობა (უზმნისწინო და ზმნისწინიანი):

ბრალდებული (ბრალს სდებს, ბრალი ედება)  
ბრალდადებული (ბრალს დასდებს, ბრალი დაედება)  
მსჯავრდებული (მსჯავრს სდებს, მსჯავრი ედება)  
მსჯავრდადებული (მსჯავრს დასდებს, მსჯავრი დაედება)

ჩნდება კითხვა, რატომ იქნა მიღებული ნორმად „ბრალის“ შემთხვევაში უზმნისწინო „ბრალდება“ და „ბრალდებული“, ხოლო „მსჯავრის“ შემთხვევაში – ზმნისწინიანი „მსჯავრდადება“ და „მსჯავრდადებული“.

### **ბრალდება – ბრალდადება, ბრალდებული – ბრალდადებული**

ქველში დადასტურებულია საწყისიანი კომპოზიტების უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები: **ბრალდება** და **ბრალდადება** და მათგან ნაწარმოები მიმღეობიანი კომპოზიტები: **ბრალდება – ბრალდებული, ბრალდადება – ბრალდადებული** (ასევე: ბრალდაუდებელი/ბრალდაუდები). ქველის ძველ და ახალ რედაქციებში **ბრალდადებულის** მხოლოდ ერთი ილუსტრაციაა მოხმობილი: „და უნდა გვითხრას სახალხოდ, მისთვის მყავს მოწოდებული, რომ არვინ დარჩეს ჩვენგან ხალხისგან **ბრალდადებული**“ (აკაკი) [ქველი I, 1950; ქველი, ახ. რედ., 2008]. **ბრალდებულის** გამოყენების შემთხვევები მრავლადაა:

*დიმიტრის მოწყინდა იმის მტკიცება, ბრალდებულის გამოქომაგება უარესად რომ ანრისხებს სახელმწიფოს (ო. ჭილაძე, რკინის თეატრი, 314, 12).*

*იქ დაბრძანდით, – მოსამართლემ ბრალდებულის სკამი აჩვენა. იქ? რატომ? – შეცბა (ვ. ჩეკურიშვილი, ბედი კაცთა 56,2).*

**ბრალდებული** თითონ მისულა შეცდომაში შეყვანილ ბელადთან (დ. ჯანელ., მნათ., 1962).

მოსამართლე – მოქალაქე ნადირაძე, შენ ამტკიცებ, რომ **ბრალდებულ** აბრია ლომიძის ცხენი გაქეზებული იყო? (ვ. კობერ., გვალვა, 386, 11).

**ბრალდებულ** ზაზა ნაკაშიძის საქმე... დაიდრა დერეფნიდან დერეფანში, ოთახიდან ოთახში... (ნ. დუმბ., თეთრი ბაირალები) [ქეგლის ფონდი].

**ბრალდადებული** და **ბრალდებული** სინონიმებია, თუმცა მცირე სემანტიკური განსხვავება მათ შორის მაინც შეიმჩნევა: **ბრალდადებულის** მნიშვნელობა უფრო ზოგადია, **ბრალდებული** კი ძირითადად სამართლებრივ ბრალზე მიუთითებს და ტერმინად ქცევისკენ მიისწრაფვის, თუმცა იშვიათ შემთხვევებში ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარება. **ბრალდებულის** ეს ორი მნიშვნელობა გამოკვეთილია ქეგლის ახალ რედაქციაში (ერთი – სპეციალური, ხოლო მეორე – ზოგადი, **ბრალდადებულის** სინონიმური მნიშვნელობა):

**ბრალდებული**... 1. სამართ. ვისაც ბრალი ედება, სამართალში მიცემული პირი. – კაცი ბრალდებულთა სკამზე უნდა დასვას მგონიაობამ კი არა, არამედ უცილობელმა, უეჭველმა საბუთმა (ილია). ოთხივე ბრალდებული გაიგზავნა ციმბირში (ე. ნინოშ.). 2. ვისაც საერთოდ რამე ბრალი ედება. არავინ დარჩეს ჩვენგანი ხალხისგან ბრალდებულია (ვაჟა). როცა სიმართლე და სათნოება ბრალდებულია, ხმა აღიმალღოს, მაშინ პოეტი ვალდებულია (მ. ქვლივ.) [ქეგლი, ახ. რედ., I, 2008].

ილუსტრაციები მოწმობს, რომ **ბრალდებულის** ძირითადი მნიშვნელობა სპეციალური მნიშვნელობაა. **ბრალდების**, როგორც სამართლებრივი ტერმინის, უპირატესობას მოწმობს მისგან ნაწარმოები ფორმებიც: **საბრალდებო, ბრალდებულება, ბრალდებითი, ბრალმდებელი**... (არ გვაქვს საბრალდადებო, ბრალდადებულება, ბრალდადებითი, ბრალდამდებელი)... ქეგლის ძველ რედაქციაშიც მითითებულია, რომ სპეციალური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ **ბრალდებისაგან** (და არა **ბრალდადებისაგან**) ნაწარმოებ ფორმებს: **ბრალდებული**... [და არა: ბრალდადებული] სამართ. ვისაც ბრალი ედება, სა-

მართალში მიცემული პირი... **ბრალდებითი...** 1. სამართ. ბრალდებისა, საბრალდებო... **საბრალდებო...** სამართ. ბრალდებისათვის განკუთვნილი, ბრალდების შემცველი, ბრალდებისა... იხ. ასევე: საბრალდებულო, საბრალმდებლო [ქეგლი I, 1950].

განხილული მაგალითების საფუძველზე უფრო ნათელი ჩანს, რატომ მკვიდრდება ნორმად უზმნისწინო კომპოზიტი **ბრალდებუ-ლი**. ის აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც ნორმების დადგენისას არის დაცული: გავრცელებულია, გამართლებულია გრამატიკული სისტემით, მარტივია წარმოების პრინციპისა და მნიშვნელობის მიხედვით [არაბული 2008: 36-37].

### **მსჯავრდება – მსჯავრდადება, მსჯავრდებული – მსჯავრდა-დებული**

ქეგლში დადასტურებულია მხოლოდ ზმნისწინიანი საწყისიანი კომპოზიტი **მსჯავრდადება** (ვინმესთვის მსჯავრის დადება, მისჯა რაიმე დანაშაულისათვის; განაჩენის გამოტანა) [ქეგლი V, 1958], მაგრამ არ არის წარმოდგენილი **მსჯავრდება**, თუმცა ქეგლის ფონდში დაცული მასალა უზმნისწინო საწყისიანი კომპოზიტის არსებობასაც ადასტურებს.

ქეგლის ფონდში დაცულია როგორც უზმნისწინო, ასევე ზმნისწინიანი საწყისიანი კომპოზიტების შემცველი ილუსტრაციები:

### **მსჯავრდება**

*სასამართლომ ეს სანქცია არ უნდა გამოიყენოს პირის სისხლის სამართლის წესით მსჯავრდების დროს („საბჭ. სამართ.“).*

*ვერც ამ შემთხვევაში მიეცემა წინა მსჯავრდებას მაღალკვალიფიცირებული ნიშნის მნიშვნელობა („საბჭ. სამართ.“) [ქეგლის ფონდი].*

### **მსჯავრდადება**

*იგი იურიდიულად სრულიად დაუსჯელი დარჩა. მართალია, მსუბუქად დაზიანდა, მაგრამ სასამართლოს მსჯავრდადებას გადაურჩა („კომუნ.“).*

აღინიშნა, ამიერიდან ძალზე საშიშია ადამიანთა მოდემის **მსჯავრდადება** (მ. ბაქრ., თარგმ., ხომლი) [ქეგლის ფონდი].

ასევე (**ბრალდებულ-**, **ბრალდადებულ-** ფორმების მსგავსად) გვაქვს უზმნისწინო და ზმნისწინიანი მიმღეობიანი კომპოზიტები **მსჯავრდებული** და **მსჯავრდადებული**: **მსჯავრდადებული** = ვისაც მსჯავრი დაადეს, მისჯილი. – მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა. **მსჯავრდებული** – იხ. მსჯავრდადებული [ქეგლი V, 1958].

ქეგლში ამ სიტყვებს არ ახლავს ილუსტრაციები, მაგრამ მასალა დაცულია ქეგლის ფონდში. აქ ზმნისწინიანი ფორმის (**მსჯავრდადებულ-**) ერთი მაგალითია დამოწმებული: *სოფლისაგან გალანძღული კაცი... სასჯელმთოუხდელად მსჯავრდადებულია* (ო. იოსელი, შავი და ცისფერი მდინ.). დანარჩენ მაგალითებში უზმნისწინო (**მსჯავრდებულ-**) ფორმებია გამოყენებული:

**მსჯავრდებული** განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იყო აღიარებული („საბჭ. სამართ.“).

**მსჯავრდებულმა** კვლავ ჩაიდინა სპეკულაცია („საბჭ. სამართ.“).

**მსჯავრდებულიც** არის და **მსჯავრდებულებიც**, – შეახსენა... მწერალმა მარიკა ბარათაშვილმა – და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს („კომუნ.“).

სექციის წევრებმა შეისწავლეს რა შრომა-აღმზრდელობითი დაწესებულების ასეთი **მსჯავრდებულები**... („საბჭ. სამართ.“).

იმედით, მოლოდინით და პატივისცემით გაძლიერებული შრომაგასწორების კოლონიის **მსჯავრდებული**... („ლიტ. საქ.“)

სამწუხაროდ, **მსჯავრდებულთა** 4,8 პროცენტი ქალია („საბჭ. სამართ.“).

ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი **მსჯავრდებულთა** რეალური აღზრდისა და გამოსწორების ძირითადი მოთხოვნა („საბჭ. სამართ.“).

დანაშაულის შემცირების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყოფილ **მსჯავრდებულთა** მიმართ გულისხმიერ და სამართლიან დამოკიდებულებას („საბჭ. სამართ.“) [ქეგლის ფონდი].

ქეგლის ფონდში დაცული მაგალითები უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმების მნიშვნელობათა დაზუსტების შესაძლებლობას გვაძლევს. უზმნისწინო ფორმები (მსჯავრდება, მსჯავრდებული) სპეციალურ მნიშვნელობას ატარებს („სისხლის სამართლის წესით **მსჯავრდება**“, „**მსჯავრდებულმა** კვლავ ჩაიდინა სპეკულაცია“). ზმნისწინიან ფორმათა მნიშვნელობა უფრო ზოგადი ჩანს: შეიძლება გულისხმობდეს როგორც სამართლებრივ („სასამართლოს **მსჯავრდადება**“), ისე არასამართლებრივ (საზოგადოებრივ თუ მორალურ) სასჯელს: „ადამიანთა მოდგმის **მსჯავრდადება**“. მაგალითად, „სოფლისაგან გალანძული კაცი... სასჯელმოუხდელად **მსჯავრდადებულია**“. შდრ.: „თუმცა თუ ვინმეს უფლება აქვს **ზნეობრივი მსჯავრმდებლის** კვერთხი აიღოს ხელში, პირველ რიგში სწორედ გივი გეგეჭკორის მსგავსი სულიერი აღნაგობის პოეტსა და მოქალაქეს“ (გ. ასათ.) [ქეგლის ფონდი]. შესაძლოა, ამიტომაც მოითხოვს ზმნისწინიანი ფორმა „მსჯავრდადება“ ერთგვარ დაზუსტებას სამართლებრივი სასჯელის აღნიშვნის შემთხვევაში: „სასამართლოს მსჯავრდადება“.

**მსჯავრდებული – მსჯავრდადებულის** ანალოგიური მიმართებისაა: **ბრალდებული – ბრალდადებული**. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რატომ არ გატარდა იგივე პრინციპი პარალელური ფორმების: **მსჯავრდებული – მსჯავრდადებული** – შემთხვევაში?

ინვერსიულ ლექსიკონში მოვიძიეთ -**დადებულ/ -დებულ** მიმღეობის შემცველი კომპოზიტები: პირობადებული, ვადადადებული, ინადადებული, ყადადადადებული, ხუნდებდადებული, კლიტედადებული, თავდადებული, ბრალდადებული, ხელდადებული, ბორკილდადებული, გულდადებული, ღვაწლდადებული, წუნდადებული, საზღვარდადებული, ფიცდადებული [ინვერსიული ლექსიკონი 1967: 20]. ამ ფორმებიდან, ორთოგრაფიული ლექსიკონის მი-

ხედვით, უმართებულოა **ბრალდადებული** და **პირობადებული** (მართებულია **შეპირობებული**), ორთოგრაფიულ ლექსიკონში საერთოდ არაა ნახსენები ქველში დამოწმებული **ბორკილდადებული** და **ღვაწლდადებული** (გვაქვს **ბორკილგაყრილი** და **ღვაწლმოსილი**). რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს პარალელური (ზმნისწინიანი და უზმნისწინო) ფორმებიც: ხელდადებული – ხელდებული, წუნდადებული – წუნდებული [ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998].

საწყისიანი და მიმღეობიანი კომპოზიტების როგორც ზმნისწინიანი, ისე უზმნისწინო ფორმების წარმოების სიძველეს ადასტურებს ძველი ქართული ენის ლექსიკონებიც: თავდადებული, თავდადებით, ბრალდებული, სახელდებული, გულდებული („გულდანდობილი“), შჯულდებული („დაკანონებული“), თავსდებული („ნაკისრები“), თავსდებულობა („ისრება“), თავსმდებლობა („ამტანობა“), სახელდებულება („სახელის დარქმევად“), სახელმდებელი („მწოდებელი“) [აბულაძე 1973, სარჯველაძე 1995].

**ბრალ-**იდან ნაწარმოები **ბრალდებული** უკვე ძველ ქართულში გვხვდება „ბრალეულისა“ და „გარდამავალის“ გვერდით. მაგალითად, გარდამავალ – „გარდამავალად (**ბრალდებულად** A) შევჰრაცხენ ყოველნი ცოდვილნი ქუეყანისანი“ (ფს. 118, 119) [აბულაძე 1973]\*.

ძველი ქართულის ლექსიკონებში **მსჯავრ-**ი არ არის დადასტურებული. „დიდი სჯულისკანონი“ გამიჯნავს ტერმინებს: **მსჯავრი** (judicium) 167, 45 – სასამართლო განხილვა, განაჩენი, განსჯა [დიდი სჯულისკანონი 1975: 597] და **ბრალი** (crimen) 250, 27 – დანაშაული [დიდი სჯულისკანონი 1975: 584].

შინაარსობრივად მიმღეობიან კომპოზიტთა უზმნისწინო და ზმნისწინიანი წყვილი (მსჯავრდებული – მსჯავრდადებული) თითქოს ისეთსავე სემანტიკურ სხვაობას გვიჩვენებს, როგორსაც ბრალდებული – ბრალდადებული. მსჯავრდებული / ბრალდებული – მნიშვნელობა კონკრეტულია (სპეციალური), მსჯავრდადებული / ბრალდადებული – მნიშვნელობა უფრო ზოგადია. ამას ქველის მასალაც მოწმობს, მაგრამ ქართულ ბეჭდვით და ელექტრონულ მედიასა და ოფიციალურ დოკუმენტებში სპეციალური (სამართლებრივი)

---

\* ბრალდების მნიშვნელობით გვაქვს: ბრალევა, ბრალობა, ბრალეულ-ყოფა, ბრალისდადება, ბრალობილობა... [აბულაძე 1973, სარჯველაძე 1995].

მნიშვნელობით რატომღაც ორივე ფორმაა გამოყენებული. მაგალითისთვის წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

### **მსჯავრდებული**

*„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო განმარტავს, რომ სრული შემოქმემა უტარდებათ მხოლოდ იმ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს, რომელთა მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში აკრძალული საგნების/ნივთიერებების შეტანას ცდილობენ“ (სასჯელაღსრულების უწყება: **მსჯავრდებული** ქალების შემოქმემა ევროპული სტანდარტებით ხდება) [ghn].*

*„შეწყალების საკითხთა კომისიამ 17-18 ივლისის სხდომაზე სულ 589 **მსჯავრდებულის** საქმე განიხილა“ (საქართველოს პრეზიდენტმა 98 **მსჯავრდებული** შეიწყალა) [ტაბ.].*

### **მსჯავრდადებული**

*„**მსჯავრდადებულთა** უფლებების უკეთ დასაცავად გაუქმდა შიდაბიუროკრატიული ბარიერები და გამარტივდა ადმინისტრირება... დაიწყო **მსჯავრდადებულთა** რისკების მიხედვით კლასიფიკაციის პროცესი... დიდ იმედს ვამყარებ პროექტზე, რომელიც თითქმის ბოლომდე მივიყვანე – ეს არის **მსჯავრდადებულთა** ელექტრონული (ე. წ. სამაჯურებით) მონიტორინგის სისტემა, როგორც სასჯელის ალტერნატიული ფორმა... გაიხსნა საწარმოები, სადაც **მსჯავრდადებულები** არიან დასაქმებული... მინდა დაგარწმუნოთ, რომ სისტემის ხელმძღვანელობა **მსჯავრდადებულთათვის** ახალი შესაძლებლობების შეთავაზებას სისტემის მართვის ძირითად ინსტრუმენტად მიიჩნევს. მაგალითად, დავიწყეთ მუშაობა, რომ **მსჯავრდადებულებს** უმაღლესი განათლების შესაძლებლობა მივცეთ“ [კვ. პალ.].*

მოცემულ მაგალითებში არ იკვეთება არც შემდეგი სემანტიკური სხვაობა: **მსჯავრდებული** – ის, ვისაც მსჯავრი უნდა გამოუტანონ და **მსჯავრდადებული** – ის, ვისაც უკვე დაადეს სასჯელი, მსჯავრი გამოუტანეს. ეს ორი სიტყვა-ტერმინი მნიშვნელობით



იდენტურია, რასაც ტერმინოლოგიური ლექსიკონების განმარტებებშიც მოწმობს:

**მსჯავრდებული** – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი [სტატ. ანგ.].

**მსჯავრდადებული** – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი [სამოქ. ლექს.].

„ქართულ ლექსიკონში“ სწორ ფორმად მიჩნეულია **მსჯავრდება და მსჯავრდებული** („პასუხისგებაში მიცემული პირი, რომელსაც სასამართლომ განაჩენი გამოუტანა: მსჯავრდებულმა განაჩენი გაასაჩივრა. მსჯავრდებულის საკანი“) [ქართული ლექსიკონი 2014]; **მსჯავრდებულ**- ფორმა დამოწმებული განმარტებით იურიდიულ ლექსიკონშიც [იურიდ. ლექს.], ჟურნალისტიკის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში კი გვაქვს **მსჯავრდადებული** [და არა **მსჯავრდებული**] [ჟურნ. ლექს. 1998].

ზოგჯერ მონაცვლე ფორმები (**მსჯავრდებული** და **მსჯავრდადებული**) ერთსა და იმავე სტატიაშიც კი გვხვდება. „პრაიმტიამის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატიის სათაურში ვხვდებით ნორმით გათვალისწინებულ ფორმას – **მსჯავრდადებული** („საქართველოს პრეზიდენტმა 78 **მსჯავრდადებული** შეიწყალა“), ტექსტში კი ეს ნორმა არ არის დაცული: „57 **მსჯავრდებული** სრულად იქნა შეწყალებული... რაც შეეხება 21 **მსჯავრდებულს**, მათი სასჯელი სხვადასხვა ზომით შეამცირეს...“ [პრაიმტიამი].

ნიშანდობლივია, რომ ეს ერთადერთი მაგალითი არ არის. ერთ-ერთ ელექტრონულ გამოცემაში, სტატიის სათაურში **მსჯავრდადებულ**- ფორმა გამოყენებული: „შეწყალებული 226 პირიდან 180 **მსჯავრდადებული** დღესვე დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას.“ ამავე სტატიაში დამოწმებულია **მსჯავრდებულ**- ფორმის შემცველი ოფიციალური დოკუმენტი: „საქართველოს პრეზიდენტმა დღეს ხელი მოაწერა განკარგულებას „**სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ**“. სტატიის ტექსტშიც **მსჯავრდებულ**- ფორმა გამოყენებული: „180 **მსჯავრდებული** დღესვე დატოვებს საპატიმრო დაწესებულებას“ [თბ. 24].

განხილული მაგალითების საფუძველზე, ვვარაუდობთ, რომ ენობრივი ტენდენცია უზმნისწინა **მსჯავრდებულ**- ფორმისკენ იხრება **ბრალდებულის** ანალოგიით, მაგრამ, ამავე დროს, ენა ცდილობს დაიცვას ნორმა და გაასწოროს უმართებულო ფორმები. შესამ-

ლოა სწორედ ამით იყოს გამოწვეული ერთსა და იმავე კონტექსტში პარალელური ფორმების ხმარება.

აქვე დაისმის კითხვა: რატომ არ დაუშვა ნორმამ ორივე ფორმა (**მსჯავრდებული** და **მსჯავრდადებული**), როგორც პარალელური ფორმები, რათა შემდგომ ენას თავად მისცემოდა ბუნებრივი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა? (შდრ. პარალელური ფორმები: **წუნდებული – წუნდადებული...**). ეს ბუნებრივი არჩევანი ამ ილუსტრაციაშიც ჩანს: „რაც შეეხება ქალ პატიმრებს, კახიშვილის განცხადება ეხება **მსჯავრდებულებს** და არა – **ბრალდებულებს**“ [ახ. თაობა].

ვფიქრობთ, აქ ტერმინთქმნადობის პრინციპმა ითამაშა გარკვეული როლი: ტერმინისთვის ე.წ. დუბლეტების არსებობა ერთგვარ საფრთხეს წარმოადგენს და ქმნის ტერმინის არასწორი გააზრების საშიშროებას. ამიტომ, ბუნდოვანების ასარიდებლად, ენა თავიდან იცილებს ე.წ. დუბლეტს [დამბაშიძე 1986: 40]. სიტყვის სპეციალურმა მნიშვნელობამ და ამ სიტყვის ტერმინად გადაქცევამ განაპირობა უალტერნატივო ნორმის დამკვიდრების საჭიროება. მაგრამ, ამავე დროს, ერთი ტერმინოლოგიური ველის ტერმინთა მართებული ფორმების დადგენისას უფრო ბუნებრივი იქნებოდა ერთი პრინციპის გატარება: თუ **ბრალდებული/ბრალდადებულის** შემთხვევაში დადგენილია **ბრალდებიდან** (და არა ბრალდადებიდან) ნაწარმოები ნორმა **ბრალდებული**, მაშინ უპრიანი იქნებოდა ანალოგიური პრინციპის გატარება **მსჯავრდებული/მსჯავრდადებულის** შემთხვევაშიც. ასე არც ეკონომიურობის პრინციპი დაირღვეოდა და ტერმინთა წარმოქმნის სისტემურობაც დაცული იქნებოდა\*.

უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმების შედარებამ გვიჩვენა, რომ უზმნისწინო ფორმები უფრო კონკრეტულ, სპეციალურ მნიშვნელობას ატარებს და ტერმინად ქცევის მეტი შესაძლებლობა აქვს. ამას სხვა მაგალითებიც ადასტურებს:

**წუნდადებული:** რასაც (ან ვისაც) წუნი დასდევს, – დაწუნებული.

---

\* „ჩვეულებრივი სიტყვისაგან განსხვავებით, ტერმინი ცნების უბრალო დასახელება კი არ არის, არამედ იგი გარკვეულ სისტემაში მყოფ ცნებას წარმოგვიდგენს და, თავის მხრივ, ტერმინთა შესაბამის სისტემას ქმნის: მისი ადგილი ყოველთვის გარკვეულია სხვა ტერმინებთან მიმართებაში, ისევე როგორც გარკვეულია ყოველი ცნების ადგილი ცნებათა სისტემაში“ [დამბაშიძე 1986: 60].

**წუნდებული:** სპეც. წუნის მქონე, – ცუდი, უხარისხო. წუნდებული საქონელი: ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის წუნდებული პროდუქციის გამოშვება („კომუნისტი“).

**წუნდება:** სპეც. პროდუქციის შემოწმება წუნმდებლის მიერ (მისი ვარგისიანობის გასარკვევად).

**ხელდადებული:** 1. რასაც ხელი დაადეს. 2. ვისაც ხელი დაადეს, – თავისთვის მიჩემებული: ქალი უკვე ხელდადებული იყო სოვდაგრისაგან (ვ. ბარნ.).

**ხელდებული:** ვისიმე მფარველობაში მყოფი: მართალია, დღეს ქართლი სპარსეთის საკუთრებას არ შეადგენს, მაგრამ მისი ხელდებული მანც არის (აკაკი). მარგო უკვე ჯაყოს ხელდებულია... (მ. ჯახახაძე.) [ქეგლი VIII, 1964].

## ლიტერატურა

**აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

**აბულაძე 1979** – ი. აბულაძე, „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ ინვერსიული საძიებელი, თბილისი.

**არაბული 2008** – ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, მეორე გამოცემა, თბილისი.

**დიდი სჯულისკანონი 1975** – დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი.

**ინვერსიული ლექსიკონი 1967** – ქართული ენის ინვერსიული ლექსიკონი, რედ. ბ. ფოჩხუა, მ. ჭაბაშვილი, თბილისი.

**ორთოგრაფიული ლექსიკონი 1968** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

**ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998** – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (მეორე შესრულებული გამოცემა), თბილისი.

**ჟურნ. ლექს. 2009** – ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, I, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მთ. რედ. თ. ვაშაკიძე, თბილისი.

**ჟურნ. ლექს. 2011** – ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი, II, არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, მთ. რედ. თ. ვაშაკიძე, თბილისი.

**სარჯველაძე 1995** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

**ქართული ლექსიკონი 2014** – გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე, ქ. დათუკიშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი.

**ქეგლი** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

**ქეგლი, ახ. რედ., 2008** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, I, რედ. ა. არაბული, თბილისი.

**ქეგლის ფონდი** – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდი.

**დამბაშიძე 1986** – რ. დამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი ძირითადი პრინციპები, თბილისი.

### **წყაროები (შემოკლებანი)**

**ახ. თაობა** – გაზეთი „ახალი თაობა“, ვინ ისარგებლებს შინაპატიმრობის 200 სამაჯურით? 7 სექტემბერი, 2015.

**თბ. 24** – „თბილისი 24“, 15 ივნისი, 2012: <http://www.tb24.ge>

**იურიდი. ლექს.** – განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი: <http://library.court.ge/gil/index.php?symb=%E1%83%90>

**კვ. პალ.** – გაზეთი „კვირის პალიტრა“, შს მინისტრის გიორგი მღებრიშვილის ინტერვიუ, 24-30 აგვისტო, 2015.

**პრაიმტაიმი** – გაზეთი „პრაიმტაიმი“, 14 აპრილი, 2015: <http://www.primetimenews.ge>

**სამოქ. ლექს.** – სამოქალაქო განათლების ლექსიკონი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=6>

**სტატ. ანგ.** – მეთოდოლოგია, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სტატისტიკა (სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სტატისტიკური ანგარიში): [http://moc.gov.ge/public/files/pdf/text\\_14240853982.pdf](http://moc.gov.ge/public/files/pdf/text_14240853982.pdf)

**ტაბ.** – ჟურნალი „ტაბულა“, 23 ივლისი, 2015: <http://www.tabula.ge>

## Tamar Sukhishvili

### **mṣʒavrdebul-i or mṣʒavrdadebul-i (A Convicted Person)**

#### Summary

The paper deals with the Georgian compound words formed by combining the nominal stems **bral-** (*accusation*) / **mṣʒavr-** (*conviction*) with the infinitive and the past participle forms of the verb **deb-a** (to put), including both forms without preverbs and those with the preverb *da-*. These parallel forms (with and without preverbs) carry the same meaning:

**mṣʒavr-deb-a** || **mṣʒavr-da-deb-a** (*to convict*), **mṣʒavr-deb-ul-i** || **mṣʒavr-da-deb-ul-i** (*a convicted person*)

**bral-deb-a** || **bral-da-deb-a** (*to accuse*), **bral-deb-ul-i** || **bral-da-deb-ul-i** (*an accused person*)

The Orthographic Dictionary of Contemporary Georgian sets the following standards: in the case of **bral-** (*to accuse*) based compound words, the forms without preverbs (**bral-deb-a**, **bral-da-deb-ul-i**) are considered to be correct. However, in the case of **mṣʒavr-** (*conviction*) based compounds, those with a preverb (**mṣʒavr-da-deb-a**, **mṣʒavr-da-deb-ul-i**) are selected as correct forms.

The results of the contextual analysis of the above-mentioned forms show that the compounds without preverbs are given more specific meanings in the specific contexts. They display the ability of transforming into the juridical terms.